

ანდრიი როვენჩაკი

ლვოვის ივან ფრანკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა  
andrij.rovenchak@lnu.edu.ua

დიმიტრი ფირბარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
dimapir@gmail.com

ერდალი კარაჯა

დამოუკიდებელი მკვლევარი, ოლდენბურგი, გერმანია  
erdal.karaca.de@gmail.com

## ეზიდური ანბანი: გზა უნიკოდისკენ

### რეზიუმე

ეზიდურმა დამწერლობამ ფართო აღიარება მოიპოვა 1911 წელს, როდესაც ანასტას ალ-კარმალიმ გამოაქვეყნა ორი ძველი ხელნაწერი: Maṣḥaf Raš („მასჰაფ რაშ“ - შავი გრაგნილი) და Ktēbī Jalweh („ქტები ჯალვა“ - გამოცხადების წიგნი). მათი შექმნის ზუსტი დრო ჯერჯერობით უცნობია. ხელნაწერების დაწერისას გამოყენებულია ორიგინალური აბჯადი, რომელიც 33 ასო-ნიშნისგან შედგება. თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, ეზიდური დამწერლობის ამ ვერსიას არასაკმარისი ყურადღება ეთმობა ლიტერატურაში, რომელიც ზოგადად დამწერლობის ისტორიას ეძღვნება.

მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება ამ დამწერლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, შუალედი კი საკმაოდ ხანგრძლივი გამოდის - ზემოხსენებული ხელნაწერების შექმნიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც ეზიდური დამწერლობის აღორძინებას ჩაეყარა საფუძველი.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეზიდი სასულიერო პირები სხვადასხვა მიზეზთა გამო არ აღიარებენ მასჰაფ რაშ-ის და ქტები ჯალვა-ს ტექსტებს სარწმუნოების უტყუარ წყაროებად, თუმცა, თავად დამწერლობა აღიარებულია და უკანასკნელი დროის მანძილზე დაფიქსირდა მისი გამოყენების ფაქტები სხვადასხვა ეზიდურ ჯგუფებში.

2013 წელს საქართველოს ეზიდური თემის წევრებმა წარმოადგინეს ეზიდური დამწერლობის განახლებული ვერსია, რომელიც თავისი არსით სრულფასოვანი ანბანია. განახლებული ანბანი მოიცავს 42 სიმბოლოს, მათ შორის, როგორც თანხმოდებებს, ასევე ხმოვნებს. კლასიკური კონსონანტური დამწერლობა გაფართოებულ იქნა არსებული ასო-ნიშნების გარკვეული მოდიფიკაციის გზით, კერძოდ, დიაკრიტიკული ნიშნების დამატებით და ზოგიერთი ასოს ფონეტიკური მნიშვნელობის ცვლილებით. ასო-ნიშნებთან ერთად, ჩვენ გთავაზობთ ეზიდური ანბანის თავისებურებების ვრცელ კვლევას, ამასთან ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა: ციფრები, პუნქტუაცია და დიაკრიტიკული ნიშნები, როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე კონტექსტში. მთელი სტატიის მანძილზე ჩვენ მოგვყავს მაგალითები კლასიკური ხელნაწერებიდან, ასევე ეზიდური დამწერლობის თანამედროვე გამოყენების მაგალითები, ამასთან ტექსტი ილუსტრაციებითაც არის უზრუნველყოფილი.

სტატიის შინაარსი დაფუძნებულია Unicode-ის შემოთავაზებებზე, რომლებიც ავტორებმა 2018-2019 წლებში მოამზადეს. Unicode-ის ტექნიკურ კომიტეტთან ურთიერთქმედების შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომელიც სტატიაშია ასახული, ეხმარება მკითხველს უკეთესად გააცნობიეროს ის სირთულეები, რომლებიც ახალი წერის სისტემების კოდირებასთან არის დაკავშირებული. ამგვარად, ეზიდური ანბანი ინტეგრირებულ იქნა უნიკოდის სტანდარტულ ვერსიაში 13.0, რომელიც 2020 წლის მარტში გამოვიდა.

**საკვანძო სიტყვები:** დამწერლობა, ეზიდები, ეზიდური ანბანი, დიაკრიტიკა, უნიკოდი.

## 1. შესავალი

სამუშაო პროცესი დაიწყო 2018 წლის აპრილში და ის ემსახურებოდა ეზიდური ანბანის უნიკოდის (Unicode) სისტემაში ჩართვას. ესაა საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც „საფუძველს უქმნის ტექსტური მონაცემების ნებისმიერ ენაზე დამუშავებას, შენახვასა და მიმოცვლას თანამედროვე პროგრამული თუ საინფორმაციო ტექნოლოგიების პროტოკოლებში“ (Unicode FAQ n. d.). დისკუსია უნიკოდის წარმომადგენლებთან გაგრძელდა ერთ წელზე მეტხანს და ის მიზნად ისახავდა ეზიდური დამწერლობის გარკვეული მახასიათებლების დაზუსტებასა თუ სხვა ტექნიკურ საკითხებს. დადებითი გადაწყვეტილება გვაცნობეს 2019 წლის მაისის დასაწყისში. საბოლოოდ, ეზიდური ანბანი გახდა უნიკოდის სტანდარტის ნაწილი, კონკრეტულად კი ვერსიაში ნომერი 13.0. აღნიშნული ვერსია გამოშვებულ იქნა 2020 წლის მარტში და მოიცავს 154 დამწერლობას, მათ შორის ეზიდურ ანბანსაც (Unicode® 13.0.0 n. d.).

ეზიდური დამწერლობის სისტემა შედარებით მწირადაა მოცემული დამწერლობის ისტორიის კლასიკურ ლიტერატურაში. უფრო დეტალური ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ დევიდ დირინგერისა (Diringer 1947, 296–298) და ჩესტმირ ლოუკოტკას (Loukotka 1946, 95) ნაშრომებში. ეზიდურ დამწერლობას მოკლედ შეეხო ჰანს ჯენსენი (Jensen 1969, 325), ხოლო იენას გელმა შემოგვთავაზა ნიშნების ცხრილი (Gelb 1963, 142, 144). თუმცა, იოჰანეს ფრიდრიხის (Friedrich 1966), თამაზ გამყრელიძის (გამყრელიძე 1990) და ფლორიან კულმასის (Coulmas 2004) ნაშრომებში, ისევე როგორც ენციკლოპედიაში *Sekai moji jiten* (Kōno, Chino, and Nishida 2001), ეზიდური დამწერლობა საერთოდ არ არის ნახსენები.

ამ სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ ეზიდური ანბანის ისტორიასა და ამჟამინდელ მდგომარეობას, ასევე უნიკოდის ტექნიკურ კომიტეტთან (Unicode Technical Committee, UTC) თანამშრომლობის პროცესს. წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეყრდნობა უნიკოდისადმი შეთავაზებას (Rovenchak, Pirbari, and Karaca 2019) და თანმხლებ მასალებს, რომლებიც უნიკოდისთვის მოვამზადეთ 2018 და 2019 წლებში. სტატიაში საკითხები შემდეგი თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი: მე-2 ნაწილი გთავაზობთ ეზიდური დამწერლობის ისტორიულ მიმოხილვას; მე-3 ნაწილი ეძღვნება დამწერლობის სტრუქტურის ანალიზს; ზოგიერთ ელემენტთან დაკავშირებული სირთულეები - დიაკრიტიკული ნიშნები, რიცხვები და პუნქტუაცია - უფრო დეტალურად მე-4 ნაწილში არის განხილული. ბოლო ნაწილში მოცემულია მოკლე მიმოხილვები.

## 2. ისტორიული ფონი

ეზიდური დამწერლობის გამოყენების ყველაზე ადრეული მაგალითები შეგვიძლია ვიპოვოთ ორ ხელნაწერში: *Maṣḥaf Raš* (შავი გრაგნილი) და *Ktēbī Jalweh* (გამოცხადების წიგნი), რომლებიც თავდაპირველად ანასტას მარი ალ-კარმალიმ გამოაქვეყნა 1911 წელს (Marie 1911). აღსანიშნავია, რომ იქამდეც არსებობდა იდენტური სათაურის მქონე არაბული ხელნაწერები (Joseph 1909).

ეს ხელნაწერები შექმნილია პერგამენტის თხელ ფურცლებზე, რომლებსაც ჯეირანის დამუშავებული კანისგან ამზადებდნენ. Ktēbī Jalweh-ის გვერდები მოიცავს 16 სტრიქონიან ტექსტს, ხოლო Maṣḥaf Raṣ -ში 11 სტრიქონი გვხვდება. Ktēbī Jalweh შეიცავს ეზიდური რელიგიის მთავარი ანგელოზის, ტაუსი მალაკის (მალაკ ტაუსი) მონოლოგს. მეორეს მხრივ, Maṣḥaf Raṣ მოგვითხრობს კოსმოგონიაზე, რომელიც ეზიდური რწმენის ფარგლებს სცდება (ამოვეი 1999; Пирбари и Амоев 2013). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელში გამოყენებული ლიტერატურული ენა შედარებით მწირია.

სამწუხაროდ, ხელნაწერის შექმნის თარიღი და ავტორობაც ბინდითაა მოცული, შესაბამისად, ამ საკითხზე არაერთი მოსაზრება არსებობს. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს ხელნაწერები მე-12-მე-14 საუკუნეებისაა (Marie 1911; Omarkhali 2017, 20), თუმცა, დიდი ალბათობით, უფრო გვიანდელი პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს, და, შესაძლოა, შექმნილი იყოს მე-19 საუკუნეშიც კი (Mingana 1916; Пирбари и Амоев 2013). თუმცა ეს არ უარყოფს ეზიდური დამწერლობის არსებობას. ეზიდებს მტკიცედ სწამთ, რომ არსებობს წმინდა ხელნაწერები სახელწოდებით Maṣḥaf Raṣ და Ktēbī Jalweh, თუმცა მათი ორიგინალური ვერსიები, სავარაუდოდ, დაკარგულია. შემდგომში გაჩნდა ცალკეული ეზიდური ანბანით გადაწერილი ასლები, თუმცა, სამწუხაროდ, მათი შინაარსი დღეისათვის მკვეთრად სახეცვლილია. შესაბამისად, ეზიდური სასულიერო პირთა ერთი ნაწილი აღიარებს თავად დამწერლობას, მაგრამ არ ადასტურებს, რომ ეს ხელნაწერები შეიძლება აღვიქვათ, როგორც ეზიდური რწმენის ავთენტური წყარო. ამრიგად, Maṣḥaf Raṣ და Ktēbī Jalweh შეიძლება მივიჩნიოთ ეზიდურ აპოკრიფულ ლიტერატურად. ხელნაწერების არაღიარებას სხვადასხვა მიზეზი უდევს საფუძვლად (Rodziewicz 2022). ამ ხელნაწერების წარმოშობა და შინაარსი დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს და სცდება წინამდებარე სტატიის ფარგლებს.

ეს უძველესი ხელნაწერები შედგენილია სორანულ ენაზე (ცენტრალური ქურთული, ISO 693-3 კოდი: ckb), რომელიც ახლოს დგას თანამედროვე ეზიდურ ენასთან, რომელსაც ეზიდების ნაწილი Êzdikî-ად მოიხსენიებს. ლინგვისტური თვალსაზრისით, ეს კლასიფიკაცია მას ინდოევროპულ > ინდო-ირანულ > ირანულ > დასავლეთ ირანულ > ჩრდილო-დასავლეთ ირანულ > ქურთული ენების > კურმანჯიში ათავსებს (ISO 693-3 კოდი: kmr) (Eberhard, Simons, and Fennig 2021). ამჟამად წერისთვის გამოიყენება ლათინური, კირილიცა და არაბული დამწერლობა.

აღსანიშნავია, რომ მე-13-მე-14 საუკუნეებით დათარიღებული miṣūr-ის ეზიდური წმინდა ხელნაწერები შექმნილია არაბულ ენაზე (Pirbari, Mossaki, and Yezdin 2020). 2000-იანი წლების ბოლოს ერაყში დაიწყო პროცესები, რომლებიც მიმართული იყო დამწერლობის აღორძინებისაკენ. ეს მცდელობები მოიცავდა ეზიდურ-არაბული ლექსიკონის გამოცემასაც. სამწუხაროდ, ერაყის ეზიდთა თემის რთული პოლიტიკური და სოციალური ვითარების გამო, ეს ინიციატივა შემდგომში აღარ განვითარებულა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეზიდური ანბანი არსებითად არ გამოიყენებოდა დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ კიდევ ზემოაღნიშნული ორი ხელნაწერის ეპოქიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე.

2013 წელს საქართველოში ეზიდთა სასულიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ეზიდური ანბანის აღორძინებისა, რათა ის შემდგომში გამოყენებულიყო ლოცვებში, წმინდა წიგნებში, ორგანიზაციის ბლანკებზე (იხ. სურ. 1), ეზიდურ ჰერალდიკაში და ა.შ. სწორედ ამ მიზნით, დიმიტრი ფირბარიმ და ქერიმ ამოევმა დაიწყეს კლასიკური ეზიდური ანბანის მოდერნიზება და თანამედროვე ეზიდური ენის ფონეტიკურ მახასიათებლებზე მორგება. ეს არჩევანი გამართლებულია ეზიდურ იდენტობაში კლასიკური ხელნაწერების განსაკუთრებული როლით და ითვალისწინებს კურმანჯისა და სორანის სიახლოვესაც. უკვე გამოიცა წიგნი „ეზიდური დამწერლობა“ (Пирбари и Амоев 2013), სადაც დეტალურად არის აღწერილი თითოეული ასო და მისი ფონეტიკური მნიშვნელობა. დღეს თბილისის ეზიდურ ტაძარში სასულიერო პირები უკვე იყენებენ ეზიდურ დამწერლობას. ამ ანბანით ტაძრის კედლებზე წმინდანთა სახელებიც არის აღნიშნული (იხ. სურ. 2). ახლახან გამოიცა ეზიდური დამწერლობით შექმნილი ლოცვების წიგნიც Dua'yêd Êzdiyan (იხ. სურ. 3).

საპარტვილო ეზიდთა სასულიერო საბჭო  
YEZIDI SPIRITUAL COUNCIL OF GEORGIA



CIVATA RUHANIYA ÊZDIYAN YA GURCISTANÊ  
ДУХОВНЫЙ СОВЕТ ЕЗИДОВ ГРУЗИИ



მსუხარიაჲ იკ ასეცაჲ იკასაჲნი იქაჲ

0163, თბილისი, ვიქტორ კუპრადის №60


Tel.: (+995 32) 219 08 33  
yezidi.ge@gmail.com  
www.yezidi.ge

0163, Georgia, Tbilisi, Viktor Kupradze str. №60

სურ. 1: საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭოს ბლანკი.



სურ. 2: ეზიდური წარწერები თბილისის ეზიდთა ტაძრის კედლებზე.



სურ. 3: სათაური და გვერდის ნიმუში *Dua'yéd Ėzdiyan* ლოცვის წიგნიდან (2018).

### 3. დამწერლობის სტრუქტურა


ეზიდური დამწერლობა ანბანურია, წერის მიმართულება ჰორიზონტალური – მარჯვნიდან მარცხნივ, ხაზები კი განლაგებულია თანმიმდევრულად – ზემოდან ქვემოთ. კლასიკური ეზიდური დამწერლობა მოიცავს 33 ასოს და, როგორც ჩანს, საფუძვლად სპარსული-არაბული დამწერლობის სისტემა უნდა ჰქონდეს (Diringer 1947, მითითებით Furlani 1930, 1932). ეს კავშირი აშკარად იკვეთება ასოების თანმიმდევრობაშიც (როგორც ნაჩვენებია სურ. 4-ზე). პიტერ დენიელსის (Daniels 1990) კლასიფიკაციის მიხედვით, ეს არის აბჯადი (არაბული ابد), ანუ დამწერლობა, რომელსაც აკლია სიმბოლოები ყველა ხმოვნის გადმოსაცემად<sup>1</sup>.

გარკვეული მსგავსება შეინიშნება ეზიდური და არაბული ასოების ფორმებში ‘/a, h, u/w (Diringer 1947, 298), ასევე s, n და l და გარკვეულწილად, b. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ მსგავსება არაბულ ქუფურ დამწერლობასთანაც, ეს კი შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ ეზიდური დამწერლობის საწყისები უფრო ადრეულ პერიოდში უნდა ვეძიოთ. ასევე აღსანიშნავია, რომ ეზიდურ ასოებს აქვს უფრო მკაფიო და მარტივი გეომეტრიული მოხაზულობა, რაც მათ არაბული დამწერლობისგან განასხვავებს. საინტერესოა, რომ ელიფისთვის (‘ / a) მარტივი ხაზის დამატება სავსებით მიზანშეწონილია, თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ასო ტექსტებში ხშირად გამოიყენება. მსგავსი დაკვირვება შეიძლება გაკეთდეს ნკო ანბანის კონტექსტშიც, რომელიც შეიქმნა 1949 წელს გვინეას მანინკას ენისთვის (Rovenchak 2011; Ровенчак 2019).

არაბული დამწერლობისგან განსხვავებით, ეზიდური ასოები გამოისახება ინდივიდუალურად და მათი ფორმა უცვლელი რჩება სიტყვაში მათი პოზიციის მიუხედავად. თუმცა, ცხადია, რომ ასოები შეიძლება ერთმანეთს გადაებას ხელნაწერ ვერსიებში, ისევე, როგორც სხვა ანბანურ დამწერლობებში, როგორცაა ლათინური, კირილიცა, ებრაული, სომხური და ქართული. ამის ნათელი ილუსტრაცია შეგიძლიათ ნახოთ სურათზე 5.

<sup>1</sup> ამ ტიპის დამწერლობას მოიხსენიებდნენ როგორც კონსონანტურ ანბანს, თუმცა მას შეიძლება ეწოდოს სილაბური დამწერლობა. უნდა ითქვას რომ ის განსხვავდება სილაბარისგან, როგორცაა ჰირაგანა, ჩეროკი ან ვაი, სადაც სიმბოლოების ფორმები შეესაბამება იმავე საწყის თანხმოვანს, მაგრამ სხვადასხვა ხმოვნებს, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული. ის ასევე განსხვავდება აბუჯიდისგან ან ალფასილაბარისაგან, როგორებიცაა დევანაგარი და გეეზი, სადაც სხვადასხვა ხმოვანი ერთიდაიმავე საწყის თანხმოვანთან რეგულარულად ფორმას იცვლის.





სურ. 6: *Mashaf Ras'-ის ხელნაწერის ფრაგმენტი (Marie, 1911), ლიგატურები წითლად არის შემოხაზული.*

ეზიდური დამწერლობის ახალი ვერსია სრულფასოვანი ანბანს წარმოადგენს და მოიცავს როგორც თანხმოვნებს, ასევე ხმოვნებსაც. თანამედროვე კურმანჯის ფონეტიკასთან სიახლოვის შესანარჩუნებლად, შეიქმნა რიგი ახალი ასოებისა, ძირითადად, შესაბამისი დიაკრიტიკის მიხედვით:

- ა. ბ. ა. ჯ. ზ. ლ. მ. ნ. დ.


დამწერლობის თავდაპირველ ვარიანტში სიმბოლო < ა > (რომელიც ხშირად უბრალოდ დახრილ ხაზამდე დაჰყავდათ) იყენებდნენ როგორც < ც > ასევე /p<sup>h</sup>/-ს აღსანიშნავად, < ჯ >,-თან ერთად, რაც პარალელურ გამოყენებაზე მიანიშნებს. თუმცა, თანამედროვე ვერსიაში, აღნიშნული ორი სიმბოლო ახლა სხვადასხვა ფონემას წარმოადგენს.

ასო-ნიშანი < ა > რომელიც აღნიშნავს /t<sup>h</sup>/, წარმოიშვა < ა >-დან, რომლის ფონეტიკური მნიშვნელობაცაა /t/. ეს უკანასკნელი უდავოდ უნდა უკავშირდებოდეს < ა >-ს, რომელიც თავის მხრივ აღნიშნავს /c/-ს. ანალოგიურად, სიმბოლოები < ბ > /r/ წარმოიშვა < ბ > /r/-დან, ხოლო < გ > /e/ კი გამომდინარეობს < გ >-დან, რომელსაც აქვს ორმაგი ფონეტიკური მნიშვნელობა (/i/ და /j/). ორივე შექმნილია ჰორიზონტალური ხაზის დახმარებით. მსგავსი მოდიფიკაცია იქნა გამოყენებული < ჯ > სიმბოლოს შექმნისას /k<sup>h</sup>/-ისთვის, რომელიც ეფუძნება < ჯ > /k/-ს. სიმბოლოების < ა > (რომლებიც აღნიშნავდა /w/-ს ან /u/-ს კლასიკურ კონსონანტურ ანბანში და იშვიათად /u/-ს ახალ ამბანში) ძირითად ფორმებში სხვადასხვა ელემენტების დამატებით წარმოიშვა ახალი სიმბოლოების სერია: < ბ > /w/-ს აღსანიშნავად, < გ > /v/-ს აღსანიშნავად, < დ > /o/-ს აღსანიშნავად, და ლიგატურა < ე > /u:/-სთვის. და ბოლოს, < ი >-ის მოდიფიკაციამ (ტრადიციული /h/-ის ნაცვლად განახლებული მნიშვნელობით /ə/) გამოიწვია სიმბოლო < თ > /h/-ის შექმნა. ფონეტიკური მნიშვნელობების ამგვარ ცვლილებას საყურადღებო ისტორია აქვს დამწერლობაში; მაგალითად, ბერძნული (და შემდგომში კირილიცას) სიმბოლოები omicron < O o > და eta < H η > მომდინარეობს ფინიკიური 'ayin < א > /e/ და hēt < ח > /h/ /h/-დან.

ახალი ეზიდური ანბანი წარმოდგენილია ცხრილში 1, სამ სხვა დამწერლობასთან ერთად, რომლებიც ასევე გამოიყენება კურმანჯის ჩასაწერად. ასოების თანმიმდევრობა ცხრილში ემთხვევა საქართველოს ეზიდთა თემში მიღებულ თანრიგს.

თანამედროვე ტექსტებში ასო uam-ის ფუნქციონირების თავისებურებების საკითხი UTC-ის წევრმა დასვა. აღნიშნული მოთხოვნა წარმოიშვა იმ გარემოების გამო, რომ ტექსტურ

ნიმუშებში კერნულ ფორმა ⟨ ʾ ⟩-თან ერთად, პირობითად მეორდება სიმბოლო ⟨ ʾʾ ⟩ (იხ. სიტყვა Xatûna სურ. 2-ზე). ზოგჯერ ამგვარი ნაზავი შეინიშნება ერთი და იმავე ტექსტის ფარგლებში (იხ. სურ. 7). ორივე მართლწერა სრულიად ეკვივალენტურია; ამდენად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული ასო-ნიშანის კოდირება ცალკეულ სიმბოლოდ არ მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ uum არის ერთადერთი ასო ახალ ეზიდურ ანბანში, რომელიც წარმოადგენს გრძელ ხმოვან ფონემას.



**სურ. 7:** ტექსტის მაგალითი, სადაც uum ლიგატურები გვხვდება როგორც კერნირებულად, ისე არაკერნირებულად, ერთი და იგივე ფუძეში: *scûdeê „თაყვანისცემა“ (იზაფეტში) / scûde „თაყვანისცემა“*. მოყვანილია ლოცვების წიგნიდან, *Dua'yêd Êzdiyan (2018)*.

ცხრილში 1 არის ხუთი ასო, გამოიყენება მხოლოდ არაბული წარმოშობის სიტყვების დასაწერად, რათა ზუსტად გადმოიცეს შესაბამისი ბგერები: ⟨ ʾ . ʾ . ʾ . ʾ ⟩. არაბული დამწერლობის მსგავსად, ელიფი elif ⟨ ʾ ⟩ გამოიყენება იმ სიტყვების დასაწყისში, რომლებიც ხმოვნებით იწყება.

**ცხრილი 1:** ახალი ეზიდური ანბანი და მისი შედარება სხვა დამწერლობებთან.

ეზიდური	არაბული	ლათინური	კირილიცა	საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	ასოს სახელი
ا	ا	A a	А а	a	<i>elif</i>
ب	ب	B b	Б б	b	<i>be</i>
پ	پ	P p	П п	p	<i>pe</i>
پ'	پ'	P' p'	П' п'	p <sup>h</sup>	<i>p'e</i>
ت	ت	T' t'	Т' т'	t <sup>h</sup>	<i>t'e</i>
س	س	S		θ ~ s	<i>se</i>
ص	ص	C c	Ц ц	ç	<i>cim</i>
ص'	ص'	Ç ç	Ч ч	ç	<i>çim</i>
ص'	ص'	Ç' ç'	Ч' ч'	ç <sup>h</sup>	<i>ç'im</i>
ه	ح	H' h'	Н' н'	h	<i>h'a</i>
خ	خ	X x	Х х	x	<i>xa</i>
د	د	D d	Д д	d	<i>dal</i>
ز	ذ	z		ð ~ z <sup>h</sup>	<i>zal</i>
ر	ر	R r	Р р	r	<i>ra</i>
ر'	ر'	R' r'	Р' р'	r	<i>r'a</i>

ეზიდური	არაბული	ლათინური	კირილიცა	საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	ასოს სახელი
ز	ز	Z z	З з	z	za
ژ	ژ	J j	Ж ж	ʒ	ja
س	س	S s	С с	s	sin
ش	ش	Ş ş	Ш ш	ʃ	šin
ص	ص	ş		s <sup>ʕ</sup>	şad
ض	ض	ḍ		d <sup>ʕ</sup>	ḍad
ط	ط	T t	Т т	t	ta
ظ	ظ	z'		z <sup>y</sup>	z'e
ع	ع	' / E' e'	Ә ә	ʔ	'eyn
غ	غ	X' x'	Г г	ɣ	x'eyn
ف	ف	F f	Ф ф	f	fa
ف	ف	V v	В в	v	va
ڤ	ڤ				va (ვარიანტი)
ق	ق	Q q	Q q	q	qaf
ك	ك	K k	К к	k	kaf
ك	ك	K' k'	К' к'	k <sup>h</sup>	k'af
گ	گ	G g	Г г	g	gaf
ل	ل	L l	Л л	l	lam
م	م	M m	М м	m	mim
ن	ن	N n	Н н	n	nun
و	و	U u	Ö ö	u	um
وو	وو	Û û	У у	u:	uum (იხ. შენიშვნა 1)
و	و	W w	W w	w	waw
و	و	O o	O o	o	ow
ه	ه	E e	Ә ә	ə	ew
ه	ه	H h	Һ һ	h	hay
ي	ي	Î î / Y y	И и / Ы ѣ	i / j	yot
ئ	ئ	Ê ê	E e	e	et
		I i	Ь ь		(იხ. შენიშვნა 2)

**შენიშვნები:**

- ასო uum აღნიშნავს გრძელ /u:/-ს და წარმოადგენს ლიგატურას ორი ასო um-ისა, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნავს მოკლე /u/-ს.
- ეკვივალენტები ყველა დამწერლობაში არ მოიძებნება; აღნიშნავს პალატალიზაციას უცხო სიტყვებში.

**4. ეზიდური დამწერლობის თავისებურებები: დიაკრიტიკა, რიცხვები და პუნქტუაცია**

ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ეზიდური დამწერლობის სხვა სტრუქტურულ ელემენტებს. ამ ელემენტების განხილვა, განსაკუთრებით დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენება (გარდა იმ ნიშნებისა, რომელნიც ახალი ასოების შესაქმნელად გამოიყენება), Unicode-ის ტექ-







ვიმედოვნებთ, რომ ამ სტატიაში წარმოდგენილი მასალა დაეხმარება ეზიდური კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ პირებს უკეთ გაიცნონ წერასთან დაკავშირებული საკითხები თუ ტექნიკური ასპექტები, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის მიმოცვლას თანამედროვე ციფრულ სამყაროში.

### მიძღვნა

ეს კვლევა ნაწილობრივ იყო მხარდაჭერილი შეერთებული შტატების ჰუმანიტარული მეცნიერებების ეროვნული ფონდის გრანტით (PR-253360-17), რომელიც აფინანსებს უნივერსალური სკრიპტების პროექტს (სკრიპტების კოდირების ინიციატივის ნაწილი კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლი). ამ პუბლიკაციაში გამოხატული ნებისმიერი შეხედულება, დასკვნა, ან რეკომენდაცია სულაც არ ასახავს National Endowment for the Humanities-ის შეხედულებებს.

განსაკუთრებული მადლობა დებორა ანდერსონს ეზიდური ანბანის სტანდარტიზაციის პროცესში მუდმივი ყურადღებისა და ორგანიზაციული მხარდაჭერისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ამოვეი, ქერიმ. 1999. *ეზიდების წმინდა წიგნები = Eziidskie svyashchennye knigi*. თბილისი.
- გამყრელიძე, თამაზ. 1990. *წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა: ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- Coulmas, Florian. 2004. *The Blackwell Encyclopedia of Writing Systems*. Blackwell, Malden, MA: Blackwell.
- Daniels, Peter. 1990. "Fundamentals of Grammatology." *Journal of the American Oriental Society* 110 (4): 727-731. <https://doi.org/10.2307/602899>.
- Diringer, David. 1947. *The Alphabet: A Key to the History of Mankind*. London: Hutchinson.
- Dua 'yêd Êzdiyan = Дәә 'üed Эзди́ян =* 𐌆𐌊𐌰𐌹𐌆𐌔 𐌆𐌊𐌰𐌹𐌆𐌔. 2018. T'bilisî: Universal.
- Eberhard, David M., Gary F. Simons, and Charles D. Fennig, eds. 2021. *Ethnologue: Languages of the World*, 24th edition. Dallas, TX: SIL International. Online version: <http://www.ethnologue.com>.
- Friedrich, Johannes. 1966. *Geschichte der Schrift: unter besonderer Berücksichtigung ihrer geistigen Entwicklung*. Heidelberg: C. Winter.
- Furlani, Gino. 1930. "Religione dei yezidi: Testi religiosi dei yezidi." In *Testi e documenti per la storia delle religioni*, vol. III. Bologna: Zanichelli.
- Furlani, Gino. 1932. "Sui yezidi". *Rivista Degli Studi Orientali* 13 (2): 97-132. <http://www.jstor.org/stable/41863678>.
- Gelb, Ignace J. 1963. *A Study of Writing*, revised edition. Chicago: University of Chicago Press.
- Jensen, Hans. 1969. *Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart*, 3rd edition. Berlin: VEB Deutscher Verlag der Wissenschaften.
- Joseph, Isya. 1909. "Yezidi Texts". *The American Journal of Semitic Languages and Literatures* 25 (2): 111-156. <https://www.jstor.org/stable/527914>.
- Kōno, Rokurō, Eiichi Chino, and Tatsuo Nishida [河野, 六郎; 千野, 栄一; 西田, 龍雄], eds. 2001. *世界文字辞典 [Sekai moji jiten] (Scripts and Writing Systems of the World)*. [東京: 三省堂] Tokyo: Sanseido.
- Loukotka, Čestmír. 1946. *Vývoj písma*. Praha: Orbis.
- Marie, Anastase. 1911. "La découverte récente des deux livres sacrés des Yézîdis". *Anthropos* 6 (1): 1-39. <https://www.jstor.org/stable/40444071>.

- Mingana, Alphonse. 1916. "Devil-Worshippers: Their Beliefs and Their Sacred Books." *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland* 48 (July): 505-526. <https://doi.org/10.1017/S0035869X00049364>.
- Noto Serif Yezidi*. n. d. Available at: <https://fonts.google.com/noto/specimen/Noto+Serif+Yezidi>. Accessed August 01, 2023.
- Omarkhali, Khanna. 2017. *The Yezidi Religious Textual Tradition: From Oral to Written*. Wiesbaden: Harrassowitz.
- Pirbari, Dimitri, Nodar Mossaki, and Mirza Sileman Yezdin. 2020. "A Yezidi Manuscript: – Mišūr of P'ir Sīnī Bahrī/P'ir Sīnī Dārānī, its Study and Critical Analysis." *Iranian Studies* 53 (1-2): 223-257. <https://doi.org/10.1080/00210862.2019.1669118>.
- Rodziewicz, Artur. 2022. "Between Orthopraxy and Orthodoxy: International Yezidi Theological Academy in Tbilisi." *Kulturní studia*, no. 1 (18): 81-116. <https://doi.org/10.7160/ks.2022.180104>.
- Rovenchak, Andrij. 2011. "Phoneme Distribution, Syllabic Structure, and Tonal Patterns in Nko Texts." *Mandenkan: Bulletin semestriel d'études linguistiques mandé* 47: 77-96.
- Rovenchak, Andrij, Dimitri Pirbari, and Erdal Karaca. 2019. *L2/19-051R: Proposal for Encoding the Yezidi Script in the SMP of the UCS*. Available at: <https://www.unicode.org/L2/L2019/19051r-yezidi.pdf>. Accessed August 01, 2023.
- Unicode® 13.0.0*. n. d. Available at <https://www.unicode.org/versions/Unicode13.0.0/>. Accessed August 01, 2023.
- Unicode FAQ*. n. d. Available at <https://home.unicode.org/basic-info/faq/>. Accessed August 01, 2023.
- Пирбари, Дмитрий, и Керим Амоев. 2013. *Езидская письменность*. Тбилиси: "Некери".
- Ровенчак, Андрій. 2019. "Кількісний аналіз систем письма: алфавіт нко." *Україна модерна* №27: 139-152. <https://doi.org/10.30970/uam.2019.27.1066>.